კვლევის რეფლექსია

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლაში განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „ზეპირმეტყველების პრობლემები გერმანულს ენაში (როგორც უცხოური ენა) და მათი გადაჭრის გზების ძიება.

ადამიანისათვის ზეპირმეტყველება არის კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება. უცხოურ ენაზე მეტყველება კი საუკეთესო გზას წარმოადგენს კიდევ უფრო ფართო მაშტაბიანი ურთიერთობების დასამყარებლად. უცხოური ენის შესწავლას ბავშვები ადრეული ასაკიდან იწყებენ და საკმაოდ კარგადაც ითვისებენ, განსაკუთრებით ისეთ გარემოშ, როდესაც ამ ენაზე კომუნიკაციას გაუცნობიერებლად სწავლობენ, მაგრამ უმრავლესობა ადამიანებისა უცხოური ენის შესწავლას იწყებს სკოლის ასაკიდან და სასკოლო გარემოში, სადაც ისინი ამა თუ იმ ენას უფრო გააზრებულად და გარკვეული წესებისა თუ ენობრივ სტრუქტურების შესაბამისად ეუფლებიან. იმის და მიუხედავად, თუ რამდენად კარგად ფლობს მოსწავლე ამ ენას, უცხოურ ენაზე მეტყველება მაინც რჩება ერთ ერთ პრობლემატურ საკითხად ენის შესწავლის დროს. უცხო ენის შესწავლისას (ისევე როგორც სხვა უცხოური ენების) საჭიროა მოსწავლეს განუვითარდეს ოთხი უნარი: წერის, საუბრის, მოსმენის და კითხვის. ამ უნარებიდან საუბრის უნარის განვითარებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან რამდენად კარგადაც არ უნდა ფლობდეს მოსწავლე ენობრივ მახასიათებლებს, მეტყველების დროს მაინც ვაწყდებით სხვადასხვა პრობლემას. კვლევების მიხედვით, ზეპირმეტყველების განვითარებას სასკოლო გარემოში არ ეთმობა სათანადო დრო და ძირითადად საგაკვეთილო პროცესში აქტიური არის მასწავლებელი, რადგან მოსწავლეების უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზის გამო თავს არიდებს ხმამაღალ საუბარს.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

ცნობილია, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის ძნელია უცხო ენაზე, თავისუფლად მეტყველება, მიმდინარე დიალოგებში ჩართვა,პრეზენტაციების გაკეთება. ამიტომ, კვლევის მიზანია მოსასმენი მასალის მიწოდებისა და განმტკიცების ისეთი გზების მოძებნა, რომლებიც საინტერესოს გახდის უცხურ ენაზე მოსმენას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ეფექტურად გამოიყენოს ენა კომუნიკაციისათვის. უცხოური ენის სწავლება პრაქტიკულ ნაწილზეა ორიენტირებული. მთავარი ამოცანაა მოსწავლემ შეძლოს შესწავლილი მასალის ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება. მოსწავლეს უნდა მივცეთ ისეთი ცოდნა, რომ მან შეძლოს უცხურ ენაზე მეტყველება, წარმატებული კომუნიკაცია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან. კომუნიკაცია კი გულისხმობს ორ ან მეტ ადამიანებს შორის ზეპირ ან წერით მეტყველებას. ზეპირი მეტყველების განსახორციელებლად აუცილებელია თქმა და გაგება. ეს ქმნის მოსმენის უნარ- ჩვევის განვითარების აუცილებლობას. სწორედ კვლევაში შემოთავაზებული გზები, მეთოდები, სავარჯიშო-დავალებები წარმოადგენს საშუალებას, რომ მოსწავლეები უზრუნველვყოთ მოსმენის მრავალფეროვანი გამოცდილებით და შემდგომში მისი ზეპირმეტყველებაში გადატანით. გამოყენებული

მეთოდიკა და მოსმენის განმავითარებელი სავარჯიშოები შეესაბამება თანამედროვე სკოლების უცხოური ენის სასწავლო პროგრამას.

კვლევის ობიექტია უცხოურ ენაზე მოსმენის სწავლების დახმარებით ზეპირმეტყველების პროცესის განვითარება VIII კლასში მისი ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

კვლევის მიზანია მოსასმენი მასალის მიწოდებისა და განმტკიცების ისეთი გზებისა და ხერხების მოძებნა, რომლებიც საინტერესოს გახდის უცხოურ ენაზე მოსმენას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ეფექტურად გამოიყენოს ენა კომუნიკაციისათვის. კვლევის საერთო მიზნიდან გამომდინარე, კვლევაში ეტაპობრივადაა გადაჭრილი შემდეგი

კონკრეტული ამოცანები:

1. ფსიქოლოგიური ასპექტით –მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსმენასთან დაკავშირებული თავისებურებების გათვალისწინება, ინტერესთა გათვალისწინება, სწავლის მოტივაციის გაზრდა;

2. ლინგვისტური ასპექტით – შესასწავლი მასალის გაანალიზება

3. მეთოდური ასპექტით – უცხოურ (გერმანულ) ენაზე მოსმენის და საუბრის

სწავლების სხვადასხვა ეფექტური მეთოდის შერჩევა.

ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა

ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო ჩამომეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. უცხოური ენების კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პრობლემის გამომწვევი ფაქტორები შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს:

■ არაუცხოენოვანი გარემო

■ უცხოური ენის გაკვეთილებისთვის დათმობილი საათების რაოდენობის სიმცირე

■ არასაკმარისად განვითარებული მოსმენის უნარი

■ ლექსიკის სიმწირე

■ ლაპარაკის შიში (შფოთვა)

■ მოსწავლეთა განსხვავებული ინტერესები და დაბალი მოტივაცია

1.როლური თამაში

როლური თამაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ნაყოფიერი მეთოდია ზეპირმეტყველების განვითარებისთვის. იგი წარმოადგენს რომელიმე სიტუაციის მოდელირებას, სადაც მოსწავლეების ირჩევენ შესაფერის როლებს და მოქმედებენ ამ როლის გათამაშებას საკუთარი ინტერპრეტაციით. როლური თამაში ხელს უწყობს საკითხის ღრმად

წვდომას, მასალის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებას. 2021 წლის 22 აპრილს VII-VIII კლასის მონაწილეობით შედგა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მათ საშუალება ქონდათ გარკვეული პრეზენტაციის ნაწილები საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოედგინათ. ამან აშკარად მიანიჭათ თავისუფლება და მოსწავლეებმა შეძლეს თავისი ცოდნის მაქსიმალური წარმოჩენა.

2. გამოკითხვა წყვილებში

გამოკითხვა წყვილებში საუკეთესო სტრატეგიაა სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, როცა მოსწავლეებს ათვისებული აქვთ საბაზო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები. თავდაპირველად მოსწავლეებს მივაწოდე გამზადებული კითხვები ამა თუ იმ თემის ირგვლივ. მოსწავლეები დავყავი 2 ჯგუფად, ინტერვიუერი და რესპონდენტი აწარმოებდნენ გამოკითხვას და აკეთებდნენ რეპორტაჟს მოპოვებული ინფორმაციის წარდგენით. ხანდახან როლებს ვცვლიდით. შემდგომ ლექსიკური და გრამატიკული მასალის შესაბამისად მივეცი მითითება მოსწავლეებს რომ თვითონ შეედგინათ კითხვები ინტერვიუსთვის. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები აფასებდნენ ერთმანეთს ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკის მიხედვით, რომელთა საშუალებით ჰქონდათ შესაძლებლობა შეეფასებინათ საკუთარი ცოდნა, გამოევლინათ ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც ეხმარებოდათ მათ შემდგომი სწავლის დასაგეგმად.

3.მთხრობელობა

სალაპარაკო უნარის განვითარება ზრდის მოსწავლეთა შემოქმედებითობას, ფანტაზიის უნარს, პროდუქტულობასა და თავდაჯერებულობას. წარმოგიდგენთ ჩემ მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებულ ერთ-ერთ აქტივობას - თავისუფალი საუბრები , რაც გულისხმობდა, რომ კლასში შევიტანე მოსასმენი მასალა (აუდიო) მოსწავლეთა ასაკის და ინტერესების შესაფერისი და რამდენიმე საუბრის მოსმენის და დისკუსიის შემდეგ, ყოველ მოსწავლეს დაევალა რიგრიგობით, საკუთარი სურვილის და ინტერესის სფეროს შესაბამისად წარემართათ ხუთ წუთიანი მონოლოგი გაკვეთილზე და შემდგომ კითხვა პასუხის ფორმატით გაემართათ დისკუსია. ამ აქტივობამ ძალიან კარგი შედეგი მოიტანა, რადგან მოსწავლეებს მიეცათ საშუალება თვითონ აერჩიათ სასაუბრო თემა და ამის შედეგად ისინი უფრო მოტივირებული, დაინტერესებული და ხალიასიანები გახდნენ, რამაც თითქმის გააქრო სხვადასხვა დამაბრკოლებელი ფაქტორი.

4. დისკუსია -დებატები

ეს საგანმანათლებლო მეთოდი, რომელიც ზეპირმეტყველების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეებში ფიქრის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსწავლეებში. ამ აქტივობის მსვლელობისას როლი და ფუნქციები წინასწარ არის განსაზღვრული, შემუშავებულია წესები და მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადისკუსიო თემის შერჩევა დიდ დაკვირვებას

მოითხოვს, ვინაიდან სასაუბრო თემატიკა უნდა განისაზღვრებოდეს მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. თვეში ორჯერ მოსწავლეების მიერ შერჩეულ თემის ირგვლივ ვატარებდი დისკუსია- დებატებს ოთხ ან ხუთი მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებს შორის წინასწარ განსაზღვრული წესების შესაბამისად. ამ მეთოდმა მოსწავლეებს განუვითარა ურთიერთ - მოსმენის უნარი, აზრის სწორად და გააზრებულად ჩამოყალიბების უნარი, კრიტიკულად აზროვნების უნარი და მრავალი საკომუნიკაციო უნარ - ჩვევა.

კვლევის მიგნებები :

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნებები

მოსწავლეები:

მოსწავლეებს არა აქვთ საკმარისად გამომუშავებული მოსმენის უნარ-ჩვევები, რაც შესაბამისად აისახება მათი მეტყველების უნარზეც, რადგანაც მოსმენა-გაგება პირდაპირ კავშირშია ლაპარაკთან. საკლასო ოთახში, სადაც იშვიათად მყარდება თავისუფალი კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს და მოსწავლე-მოსწავლეს შორის; მოსწავლეთა ნაწილი საუბრისას განიცდის შფოთვას, ამიტომ შეცდომების დაშვების შიშით არ საუბრობს; ისინი არ არიან თავდაჯერებულები და მოტივირებულები. ისეთი აქტივობების გამოყენებისას, როგორიცაა დისკუსია, რეპორტაჟი მთხრობელობა და ა.შ. რომლებსც მოსწავლეები საკუთარი სურვილის მიხედვით ირჩევენ და ასრულებენ,მოსწავლეთა მოტივაცია იზრდება და მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მატულობს.

პედაგოგები:

უპირატესობას ანიჭებენ ინდივიდუალურ წერილობით მუშაობის ფორმებს ; მოსმენის დავალებების მიცემისას ცდილობენ ხშირად გამოიყენონ აუდიო-ვიდეო საშუალებები მოსმენის უნარ-ჩვევის განსავითარებლად; უმეტესწილად მიმდინარეობს გაკვეთილზე თავისუფალი კომუნიკაცია (სურვილების გამოხატვა, კრიტიკა, განმარტება) უცხო ენაზე ; სათანადო დროს ვერ უთმობენ გაკვეთილზე ისეთ სამეტყველო აქტივობებს, როგორიცაა როლური თამაშები, დისკუსიები/დებატები, და სხვა საათების სიმცირის და პროგრამის დაფარვის აუცილებლობის გამო; დისკუსიების/დებატების გასამარტივებლად თემის შესაბამისად აწვდიან მოსწავლეებს წინასწარ საკვანძო სიტყვებს, ფრაზებს და ენობრივ კლიშეებს („საშენ ერთეულებს“), რის გარეშეც პრაქტიკულად წარმოუდგენელია დისკუსიის წარმართვა.

რეკომენდაციები კათედრის წევრებს :

უცხოური ენების კათედრაზე მოეწყო სამუშაო შეხვედრა, სადაც კათედრის წევრებს გავაცანი კვლევის მიგნებები და ჩემ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები: თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროება კათედრის წევრებს შორის; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (მოსმენა /ყურება) გაკვეთილების დაგეგმვისა და მისი ჩატარების

აუცილებლობა; მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით კათედრაზე ერთობლივი გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება ზეპირმეტყველების სხვადასხვა განსავითარებელი აქტივობების გამოყენებით. (როლური თამაში, მთხრობელობა, დისკუსია/დებატები...); სწავლების სოციალური ფორმების (ერთობლივი პროექტი, კედლის გაზეთი) ხშირი გამოყენების აუცილებლობა გაკვეთილზე; გაკვეთილზე უცხოურ ენაზე თავისუფალი კომუნიკაციის "რეალური "კომუნიკაციის დამყარება; ზეპირი დავალების შეფასების რუბრიკის გაცნობა მოსწავლეებისთვის.

პროექტის დასკვნა

თანამედროვე უცხოური ენის სწავლებაში სავარჯიშოები მრავარფეროვანია და შესაძლებელია, შემდეგ ჯგუფებად დაიყოს: ლაპარაკის განმავითარებელი სავარჯიშოები – მონოლოგური მეტყველება: მოხსენება,

შეჯიბრი კითხვაში,

სურათის შინაარსის ვერბალურად გამოხატვა,

როლურ თამაშებში ერთ-ერთი როლის შესრულება, მოსასმენი და

წასაკითხი დავალებების ტესტირება, საშინაო დავალებების წარდგენა,

რეფერატი და ა.შ. –

ზეპირი ინტერაქცია: როლის შესრულება, საუბარი, დისკუსია, დებატი

კვლევის შედეგების გაზიარების მიზნით შეხვედრა გავმართე მასწავლებლებთან, რომლებიც ასწავლიან ამ კლასებს. წარვუდგინე პრეზენტაცია, რომელშიც დეტალურად განვიხილე ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის ეტაპები, მეთოდები, ინტერვენციები, კვლევის მიგნებები, რეკომენდაციები, დასკვნები. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეთა უკუკავშირი. მათ აღნიშნეს, რომ კვლევა დაეხმარათ სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში, რადგან კვლევის პერიოდშიგამოყენებული იყო სწავლების სხვადასხვა საშუალება, უფრო ხშირად იყენებდნენ გაკვეთილებზე ისტ-ს, ატარებდნენ ექსპერიმენტს, მიეცათ შესაძლებლობა როლურ თამაშებში სხვადასხვა როლის შესრულების,ყველაზე მეტად მოეწონათ დისკუსია – დებატების დანერგვა საგაკვეთილო პროცესში, მოსასმენი და წასაკითხი დავალებების ტესტირება ჩაუტარდათ, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლების მიერ მოცემული უკუკავშირიდან გამოჩნდა რომ თემა აქტუალურია, რადგან ნათლად დაინახეს თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროება კათედრის წევრებს შორის.

ჩემ მიერ განხოციელებული კვლევის შედეგებმა ნათლად დამანახა, რომ კოლეგებს შორის პრაქტიკის გაზიარება ძალიან ნაყოფიერი შედეგის მომტანია არა მარტრო მოსწავლეებისთვის, არამედ ჩემს კოლეგებსაც გამოადგებათ პრაქტიკის გაუმჯობესებაში და დაეხმარათ მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდაში. კვლევის დროს

მიღებული გამოცდილება დამეხმარა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რაც ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციის გაზრდას და ასევე, მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. ვიმედოვნებ, რეკომენდაციების გათვალისწინება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ზეპირმეტყველების პრობლემების დაძლევას და სწავლის პროცესის მიმართ პასუხისმგებლობის გაზრდას. კარგი იქნებოდა პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობა მიეღო საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს. ჩემი აზრით, ეს კიდევ უფრო ნათელ სურათს მოგვცემდა არსებულ პრობლემაზე და მისი გადაჭრის სწორი გზების მოსაძიებლად. ვფიქრობ, კვლევის დროს შეძენილი ცოდნა და გამოცდილება დამეხმარება პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სასწავლო გარემოს ეფექტიანობის გაზრდის კუთხით.